ხელშეკრულება №68
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.გურჯაანი 01 ივნისი 2011 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის მეთოდით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას:

ერთი მხრივ, **გურჯაანის მუნიციპალიტეტი** (მისამართი: ქ. გურჯაანი, ი.ნონეშვილის გამზ. №13. ს/კ 227765022) წარმოდგენილი მისი გამგებლის **შოთა უტიაშვილის** სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად")

მეორე მხრივ: **შპს „ოდა XXI"** მისი დირექტორის **გელა ნადირაშვილის** სახით, (რეკვიზიტები:ს/კ 202362095. მისამართი: ქ.თბილისი. დიღმის მასივი. I კვარტალი1[ა] კორპუსი. ბინა N26.), (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად")

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „სამუშაო" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. <u>სოფელ შამიანში სასოფლო სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვის სამუშაოები.</u>

1.2. კლასიფიკატორის კატეგორიის/ქვეკატეგორიის კოდი 45233142;

1.3. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერილობა მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: <u>7880 (შვიდი ათას რვაასოთხმოცი)</u> ლარს;

3.2. შესასრულებელი სამუშაოს ერთეულის ღირებულებები მოცემულია სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის;

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. სამუშაოს მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი შამიანი;

4.2. სამუშაოს მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 01 ივლისამდე.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით;

5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული სამუშაოს ღირებულების [illegible] ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის არმოჩენის შესახებ;

5.2.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით;

ბ) სამუშაოს მიწოდების ვადის დასრულებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დატქმულ ვადაში.

ბ) სამუშაოების დასრულების შემდეგ 1 (ერთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მათი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით.

5.3.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

6.2. საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე შემსყიდველმა შესაძლებელია განახორციელოს ავანსის ჩარიცხვა (არაუმეტეს სახელშეკრულებო თანხის 40 %-ისა) საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს 2011 წლის 01 აგვისტომდე.

6.3. შემდგომი ანგარიშწორება იწარმოებს ეტაპობრივად, შესაბამისი დოკუმენტაციის (შუალედური ფორმა 2-ის, დათვალიერების აქტის) წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე, ანაზღაურდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება; (დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში).

7. ხელშეკრულების ინსპექტირება

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით, გამგეობის არქიტექტურის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელთაგან და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებისაგან შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

8. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრ ულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომისშემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრ ულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.5. ხელშეკრულების 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

10.6.. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღ ნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყო ვნებლივ, მარა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრ ულების შესახებ, წინააღ მდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;

11.3.. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღ წევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხეშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის **2011 წლის 10 ივლისამდე.**

შემსყიდველი:

გურჯაანის მუნიციპალიტეტი. ს/კ 227765022. მისმართი: ქ. გურჯაანი. ი.ნონეშვილის გამზN13. სს „საქართველოს ლიბერთი ბანკის" გურჯაანის ფილიალი. ბ/კ LBRTGE22 ანგარისის GE32LB120114071339001

მიმწოდებელი:

შპს „ოდა XXI". ს/კ 202362095. მისამართი: ქ.თბილისი. დიღმის მასივი. I კვარტალი1ა კორპუსი. ბინა N26. სს. „საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი BAGAGE22. ანგარისის N470300900. ტელ:

გურჯაანის მუნიციპალიტეტი	**შპს „ოდა XXI"**
გამგებელი	**დირექტორი**
შოთა უტიაშვილი	**გელა ნადირაშვილი**